# სახელმწიფო პროტექციონიზმი რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში

**ინა მაისურაძე**
**ეკონომიკის დოქტორი (Ph. D.)**

**https://doi.org/10.52340/gbsab.2025.54.08**

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონის სოფლის მეურნეობა, რეგიონის ბიუჯეტი, რეგიონის მდგრადი ეკონომიკური ზრდა.

## შესავალი

რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკისთვის კონკრეტული პრიორიტეტების შერჩევა, პირველ რიგში, განისაზღვრება რეგიონის განვითარების ტენდენციებით, თავისებურებებით, ორგანიზაციული, სოციალურ-ეკონომიკური, საწარმოო, ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური საჭიროებებით. ინვესტირების გარკვეული პრიორიტეტები უნდა გამოყენებულ იქნეს როგორც ურთიერთ-შემავსებელი ფაქტორები. მათი თანაფარდობა უნდა განისაზღვროს, როგორც რეგიონის განვითრების დონით, ასევე კონკრეტულ პერიოდში რეგიონული საინვესტიციო სტრატეგიის სპეციფიკით.

## შედეგები და მათი განსჯა

რეგიონული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედება რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, შემდეგია:

- საბიუჯეტო მომსახურებაზე მოსახლეობის ყველა ფენისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რასაც კონსტიტუციური უფლებების განხორციელების გარანტიას იძლევა;
- „ზრდის წერტილების“ შექმნა, რომლებშიც უზრუნველყოფილია ფინანსური და ადმინისტრაციული მმართველობითი რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია და მათი პოზიტიური გამოცდილების შემდგომი გავრცელება სხვა ტერიტორიებზე.
- რეგიონული განვითარების პრიორიტეტული პროექტების სახელმწიფო მხარდაჭერა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივა.

ამჟამად, შიდა ქართლის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებობს ეკონომიკის დივერსიფიკაციის ჩატარების ყველა საფუძველი, რადგან სისტემის შემქმნელი დარგები უშუალო გავლენას ახდენენ რეგიონის მთელი სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირებაზე. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ შიდა ქართლის რეგიონი ამჟამად დინამიურად განვითარებადი რეგიონს წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია განვითარებული სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების სექტორები, რომელთა წილად მოდის რეგიონის მთლიანი პროდუქციის 42.6%. ამის შედეგად აუცილებელი ხდება შიდა ქართლის რეგიონ-შემქმნელი დარგების კომპლექსის საქმიანობის გაფართოება, კერძოდ, ესა რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის დარგები, რაც თავის მხრივ, საშუალებას მისცემს რეგიონს მეურნე სუბიექტების საინვესტიციო და სხვა რესურსების არა მხოლოდ გარკვეული ტიპის

პროდუქციის წარმოების გაზრდის კუთხით, არამედ მაღალი კონკურენტუნარიანობის სისტემის შექმნა-დანერგვის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

მთლიანი რეგიონული პროდუქციის წარმოების ცვლილებაზე და რეგიონში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე ზეგავლენის მქონე მთელი რიგი ეგზოგენური ნიშანთვისებების შედარება აჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებობს მჭიდრო დადებითი კორელაციური კავშირი.

მთლიანი რეგიონული პროდუქტის (მრპ) მოცულობის ზრდა, რომლის რეზერვები რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების სიბრტყეში მოიაზრება, თავის მხრივ, წარმოადგენს რეგიონის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გასაღებს და ქმნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობებს, როგორც ცალკეულ რეგიონებში, ისევე მთლიანად ქვეყანაში.

გასული ათწლეულების მანძილზე, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს რეგიონულ სოფლის მეურნეობის სექტორში, ყველაზე ნათლად გამოიკვეთა მათი შემდგომი განვითრების გარე და შიდა პრობლემები, რომელთა კლასიფიკაცია შემდეგნაირად მოვახდინეთ:

1) ქრონიკული ხასიათის პრობლემები;
2) 90-იანი წლების აგრარული რეფორმებით გამოწვეული პრობლემები;
3) საქართველოს ცალკეული რეგიონებისთვის დამახასიათებელი პრობლემები;
4) აგრარულიკომპლექსში სიახლეების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები;
5) ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში წარმოქმნილი პრობლემები.

თავის მხრივ, მოცემული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ქმნიან რისკების სისტემას, რომელთაგან მთავარს მიეკუთვნება: მაკროეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური, სოციალური, საკანონმდებლო, საერთაშორისო სავაჭრო-პოლიტიკური რისკები.

ამჟამად, საქართველოს რეგიონების სოფლის მეურნეობის სექტორი დაცული არ არის გარე კონკურენციისგან და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობების მიუხედავად, ზემოაღნიშნული პრობლემების გამო იგი თვისი შესაძლებლობებით მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებულეკონომიკურადგანვითარებულქვეყნებს.გლობალიზაციისპირობებში რეგიონული სოფლის მეურნეობის სფეროს პრიორიტეტულ მიმართულებად არჩევა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ვარაუდობს მისი განვითრების ძირითადი მიზნების დადგენას. რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების სტრატეგიის ჩანაფიქრში დევს რეგიონის ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტული წერტილების გამოვლენა (დარგების, ვერტიკალურად ორიენტირებული სტრუქტურების და აგრარული ფორმირებების სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმის განვითარება) მათი შემდგომი განვითარების განსაზღვრა.

რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების სტრატეგიის ძირითადი კონცეპტუალური დებულებები უნდა მოიცავდეს ზომებს სტაბილიზაციის პირობების შესაქმნელად ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სამრეწველო-ტექნიკური პირობების საფუძველზე, რომელიც უნდა ემსახურებოდეს აგრარული სფეროს ეფექტიან ფუნქციონირებას, რეგიონის სოფლის ტერიტორიებზე ინსტიტუციური გარდაქმნების განხორციელებას, ინოვაციური საქმიანობის განვითარებას, აგრარული რეფორმის მიმდინარეობის პროცესში სოციალური საკითხების გადაჭრას და რეგიონის ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

სტრატეგია ვარაუდობს რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების გზების შემუშავებას, რომლებიც შემდგომში დაზუსტებულ იქნება მიზნობრივ პროგრამებში აგრარული სფეროს ცალკეული მიმართულებების და დარგების მიხედვით. რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრარულ პოლიტიკას, მართვის როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის მიზნობრივი რესურსების ეფექტიანად განაწილებისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, ქვეყნის რეგიონების დიფერენცირების და აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების ინტეგრალური მაჩვენებლების დონის გათვალისწინებით, შეიძლება შემოთავაზებულ იქნას რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს დარგების რეალური განვითარების ინდიკატორი. ეს მაჩვენებელი ავსებს სოფლის მეურნეობის სფეროს სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განვითარების ინდიკატორს და უფრო სრულად ასახავს კონკრეტული რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ზოგად დონეს, იგი ასევე განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის სექტორების ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხასიათს და რეგიონში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში მის როლს, რეგიონული ეკონომიკის განვითარების შიდა რეზერვების გამოყენების დროს.

მაჩვენებლის სიდიდის მიხედვით, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში რეგიონი შეიძლება მივაკუთნოთ ან დონორ (თუ კოეფიციენტი მეტია 1-ზე), ან რეციპიენტ რეგიონს (თუ კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე). ამ ინდიკატორის გამოყენება მიზნად ისახავს აგრეთვე რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის სახელმწიფო დახმარების ფორმებისა და მეთოდების არჩევას და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების რეგიონული სტრატეგიის ფარგლებში რეგიონების დაფინანსების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის ფორმირებას. კვლევის დროს დადგინდა, რომ ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილი კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შიდა ქართლის რეგიონის აგრარული რესურსების ინტეგრალური შესაძლებლობები საშუალოდ 2001-2005 წლებში შეადგენდა მარცვლეულის 8132.8 ათას ტონას; რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორების რეალური განვითარების ინდექსი ტოლია 1.42 ან 142%, რაც მოწმობს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარების მაღალ პოტენციალს და ამტკიცებს რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სოფლის მეურნეობის სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ინტეგრალური გაანგარიშების მეთოდოლოგიის განსაზღვრა შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონებში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ეფექტიანად მართვის მიზნით, კერძოდ, რეგიონებში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის საბიუჯეტო სუბსიდიების განაწილების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით, რაც ქმნის წინაპირობებს აგრარულ სფეროში ჩადებული სახსრების მაქსიმალური უკუგებისათვის და რეგიონში მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მქონე რეგიონების განვითარება ქმნის წინაპირობებს მათში ჩადებული საშუალებების მაქსიმალური დაბრუნებისთვის და ამ სახსრების შემდგომი ინვესტირებისათვის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, რაც ხელს უწყობს მათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შექმნასა და განხორციელებას, შესაბამისად აგრარული სფეროს დინამიურ და შეუქცევად განვითარებას.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების სისტემა უნდა მოიცავდეს სამ დონეს:

- სტრატეგიულს - კომპლექსური ნორმატიული სისტემის შექმნა, ინფორმაციულ-ანალიტიკური და ორგანიზაციულ-მულტისექტორული მხარდაჭერა, სტრატეგიული ღონისძიებების გეგმის შემუშავება საშუალოვადიან პერსპექტივაში და წლიური სამოქმედო გეგმები;
- ტაქტიკურს - განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ოპერატიულს - მაჩვენებლების მიზნობრივი მნიშვნელობებიდან გადახრებზე ოპერატიული რეაგირების სისტემის შექმნა და გამოყენება.

ამრიგად, შიდა ქართლის რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელდება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მოცემული ტერიტორიის ეკონომიკური აქტიურობის მობილიზაცია, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება და განვითარება სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური გარდაქმნების განხორციელების გზით, რომლებიც საშუალებას იძლევიან ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში გადაიჭრას აგრარული სფეროს უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ხელფასი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიებში პროფესიონალთა მოზიდვაში, მათი საქმიანობის სხვადასხვა ფორმით მოტივირებასა და სტიმულირებაში. მისი ორგანიზების ფორმიდან გამომდინარე შრომის ანაზღაურებამ შეიძლება დადებითი ან უარყობითი გავლენა მოახდინოს დასაქმებულზე. დასაქმებულთა ქცევის რეგულიდ მოქმედებს ერთი მოტივაცით. ადამიანები ერთმანეთისაგან გამოირჩევიან ქცევის წესებით, როგორც მწარმოებლები და როგორც მომხმარებლები და ამავე დროს მოტივაციაზე სხვადასხვა შეხედულება აქვთ. ყოველივე ზემოააღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შრომითი მოტივაცია კომპლექსურია და მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომპანიისათვის წარმატების მისაღწევად.

**გამოყენებული ლიტარატურა:**


1. Koguashvili P., Baratashvili E., Maisuradze I. Food clusters as a tool for increasing the efficiency of agribusiness functioning. Modern science innovations and prospects. Proceedings of VI International and Practical Conference. Stockholm, SSPG Publish. Sweden 6-8 March, 2022.ISBN 978-91-87224-02-7 Pages 198-210.
2. Koguashvili P., Chechelashvili M. Regional and Sectoral Guidelines for Food Production. International scientific innovations in human life. Proceedings if XI International Scientific and Practical Conference. Manchester, Cognum Publishing House. United Kingdom. 11-13 May 2022. ISBN 978-92-9472-195-2. Pages 684 -694.
3. აგრონიუსი, რწყვის წესები: ლიმანური რწყვა - დატბორვითი რწყვის მარტივი სახე. დასატბორად გამოყენებულია გაზაფხულზე თოვლის დნობის, წვიმისა და ადგილობრივი მინდვრების წყალდნობის დროს გამოყოფილ წყალს. ხელმისაწვდომია: https://agronews.ge/rtsqhvis-tsesebi-mathi-agroteqnikuri-shephaseba/
4. კოღუაშვილი პ., მაისურაძე ი. რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიისთვის. სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, მონოგრაფიების სერიიდან „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. https://doi.org/10.36073/978-9941-28-893-7, გვ.79-83.
5. კოღუაშვილი პ., ფანჩულიძე ჯ. ჰიდრომელიორაცია სასურსათო

უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი. ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო №5 (116) მაისი, 2022 წ. ISSN 1987-8729, 5 გვ.
6. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და გაერთიანებები; ხელმისაწვდომია: http://cooperatives.rda.gov.ge/registry
7. საქსტატი, სოფლის მეურნეობა; https://www.geostat.ge/ka/single-categories/102/sakartvelos-soflis-meurneoba
8. საქსტატი: დასაქმება და ხელფასები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

## რეზიუმე

ამჟამინდელი პოლარიზებული განვითარების პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს მთავრობა, ფოკუსირებულია რეგიონული პერსპექტივების იდენტიფიცირებასა და განვითარებაზე, ხოლო რესურსების კონცენტრირება არსებითი კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად. ამ კონტექსტში აუცილებელია ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის ახალი სტრატეგიის შემუშავება, მდგრადი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობების ჩამოყალიბებით. ეს ინიციატივა შეესაბამება დღევანდელ გამოწვევებს და ინკლუზიური განვითარების მიზნებს. დადგინდა, რომ რეგიონის სტრატეგიული განვითარების საკითხების, ამოცანებისა და მიმართულებების დაძლევა მიღწევადია, როდესაც ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები მაქსიმალურად არის ორიენტირებული ძირითად საკითხებზე, ეკონომიკური სუბიექტებიდან მიღებული მოგება სრულად რეინვესტირდება და საბიუჯეტო სახსრები მიმართულია რეგიონში პრიორიტეტული ეროვნული პროექტებისკენ.

## STATE PROTECTIONISM IN THE REGIONAL AGRICULTURAL DEVELOPMENT STRATEGY

**Ina Maisuradze**
**Doctor of Economics (Ph. D.)**

Abstract. The current polarized development policy implemented by the government focuses on identifying and nurturing regional prospects while concentrating resources to strengthen essential competitiveness. In this context, there is an urgent need to develop a new strategy for the socio-economic advancement of the country's regions, establishing necessary prerequisites for sustainable economic growth. This initiative is in line with today's challenges and the goals of inclusive development. It has been determined that tackling the issues, objectives, and directions of the region's strategic development is achievable when financial and administrative resources are maximally focused on key concerns, profits from economic entities are fully reinvested, and budget funds are directed toward priority national projects within the region.

**Keywords:** regional agriculture, regional budget, sustainable economic growth of the region.